გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

2011 წლის 9 თებერვალი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა–ნაგებობების სარგებლობის უფლების გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესი თანდართული სახით (თან ერთვის);

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

თავმჯდომარის მოადგილე ა. სირბილაშვილი

დანართი №1

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესი

ზოგადი ნაწილი

1. შენობა-ნაგებობების სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის ფორმით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.

2. შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობის გაანგარიშების საფუძველია ყველა სახის უძრავი ქონების ფართობი, მდებარეობა, შენობა–ნაგებობის მახასიათებელი (მდგომარეობა), დაკავებული მიწის ფართობი.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა გაიანგარიშება ფორმულით:

ქ(წ) = (მნ + ქფ X ITL X LMg) X 0,2

სადაც:

ქ(წ) – არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა;

მნ – არის მიწის ნორმატიული ფასი და შეადგენს:

ა) ქ. გურჯაანის ცენტრალური ზონისათვის – 7,02 ლარს;

ბ) შუალედური ზონისათვის – 5,40 ლარს;

გ) პერიფერიული ზონისათვის – 3,78 ლარს;

დ) მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის – 2.7 ლარს.

ქფ – არის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი ფასი, რომელსაც განსაზღვრავს აუდიტი.

ITL არის მუნიციპალიტეტის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი და შეადგენს

ა) ქ. გურჯაანის ცენტრალური ზონისათვის – 1,2 ლარს;

ბ) შუალედური ზონისათვის – 1,0 ლარს;

გ) პერიფერიული ზონისათვის – 0,7 ლარს;
დ) მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის – 0.5 ლარს.
LMg არის მუნიციპალიტეტის მაკრომდებარეობის ინდექსი და შეადგენს – 0,45;